

Album – Chronicle of the Epoch
Foreign Language Records of Vakhtang Gambashidze’s Album

ალბომი – ეპოქის მატრიანე
ვახტანგ ღამბაშიძის წიგნი-ალბომის უცხოენოვანი ჩანაწერები

Julieta Gabodze
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
(Georgia)

ჯულიეტა გაბოდძე
თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
(საქართველო)

Abstract:

Album Manuscripts, like humans, often have unusual fate. Who knows where they travel, where they appear, what stories they collect; and then, when blizzards are low, they quietly wait for their time! Indeed, Vakhtang Gambashidze’s album is a chronicle of the epoch. A handwritten album of the sanatorium “Patara Tsemi”, founded by a famous Georgian doctor and a public figure, encloses the records of XIX-XX century Georgian and foreign celebrities, writers, scientists, doctors, and politicians. In the album are collected 144 different types of records – poems, essays, impressions, congratulations or only signatures – written in 1904-1946 in Georgian, Russian, French, English, Ottoman Turkish and Spanish languages. The album comprises signatures of the Great Britain Commissioner in Independent Georgia, Kartvelologist Oliver Wardrop and his family members; The signature of the well-known Kartvelologist Robert Stevenson; the essay of the Chief Doctor of French Sanitary Mission in the Caucasus Louis Dartige; the signatures of the British siblings: Louis Ernest Meinertzhagen and Mary Amelia Meinertzhagen; the signature of the Bishop of Gibraltar – Harold Jocelyn Buxton; the record of the British officer Neil Stuart, ending with the verse of the famous Scottish novelist John Buchan; the unknown up to now work performed in watercolor by the Polish artist Zygmunt (Zyga) Waliszewski, Vakhtang Gambashidze’s pencil painted portrait by V. Poyarkov. Vakhtang Gambashidze’s granddaughter Nathela Nikoladze-Villecourt han-

ded this treasure over to the motherland. The album was granted the status of a movable monument of cultural heritage of Georgia. Vakhtang Gambashidze dreamt about publishing this “Golden Book” as he would refer to it. In 2020 his dream came true and the phototype edition of the album was published. It encloses the printed versions of the records, annotated indexes and comments and the trilingual essay about Vakhtang Gambashidze’s life and work activities.

Keywords: Album Manuscripts, Vakhtang Gambashidze, Chronicle of the Epoch

საკვანძო სიტყვები: ალბომი ხელნაწერები, ვახტანგ ღამბაშიძე, ეპოქის ქრონიკა

შესავალი

ადამიანების მსგავსად ხელნაწერებსაც უჩვეულო ბედი დაჰყვებათ ხოლმე. ვინ იცის, საიდან სად მოგზაურობენ, რა ისტორიებს აგროვებენ, მერე კი დროის ქარტეხილებს გადარჩენილნი დგანან და ელიან თავიანთ დროს! ასეთი თავგადასავალი აქვს იმ ავტოგრაფულ ხელნაწერებთან ალბომს, რომლის ისტორიაც იწყება 1904 წელს, როცა ცნობილმა ექიმმა და საზოგადო მოღვაწემ ვახტანგ ღამბაშიძემ ბორჯომის ხეობაში დააარსა ბავშვთა სანატორიუმი „პატარა ცემი“. მასპინძლის თხოვნით, დამსვენებლებსა და სტუმრებს პატარა ტყავისყდიან ალბომში 1904-1920 წლებში საგანგებოდ ჩაუწერიათ და ჩაუხატავთ თავიანთი შთაბეჭდილებები ლექსებად, ნოველებად, ესეებად, ნახატებად... შემდეგ კი ალბომი, როგორც ძვირფასი რელიქვია, ემიგრაციაში თან წაუღია ვახტანგ ღამბაშიძეს და 1924-1946 წწ. იქაც შეუვსია „ოქროს ფონდი“ ქართველი ემიგრანტებისა და უცხოელი მეგობრების ძვირფასი ჩანაწერებით. ჟანრობრივად და თემატურად მეტად მრავალფეროვანი **144 ავტოგრაფული ხელნაწერი** – (ლექსები, ესეები, მემუარები, ხელმოწერები, ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები) – ქართულ, ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ, ესპანურ და ოსმალურ ენებზე შესრულებულია ცნობილი ქართველი და უცხოელი საზოგა-

დო და პოლიტიკური მოღვაწეების, პოეტებისა და ექიმების, ემიგრანტების მიერ.

ჩვენი კვლევის მიზანია ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის – გაცნობა ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის. ამ ხელნაწერი ალბომის ტიპისა და ფუნქციის დადგენა მეცნიერებაში არსებული კვლევების გათვალისწინებით. ალბომის, როგორც ისტორიულ-ლიტერატურული და კულტურული პირველწყაროს მნიშვნელობის განსაზღვრა.

კვლევისას ვიყენებთ წყაროთმცოდნეობით, დედუქციის, ბიოგრაფიულ და ისტორიულ-შედარებით მეთოდებს.

ხელნაწერი ალბომების ისტორია ევროპაში დაიწყო შუასაუკუნეებიდან, გავრცელდა გერმანიასა და საფრანგეთში, XIX საუკუნეში კი ალბომის კულტურა აყვავდა რუსეთშიც. ალბომები მოდაში იყო მოსკოვში, პეტერბურგსა და პროვინციებში. პუშკინის სახელმწიფო მუზეუმის კოლექცია შეიცავს პუშკინის დროის ასზე მეტ ხელნაწერ ალბომს. პუშკინმა ალბომს „სულის ძეგლი“ უწოდა (Михайлова, 2007). <http://nasledie-rus.ru/podshivka/8306.php>

XIX საუკუნიდან ხელნაწერი ალბომები ჩნდება საქართველოშიც. სავარაუდოდ, მათი შექმნა თავდაპირველად ლიტერატურულ სალონებს უკავშირდება. ცნობილია ალექსანდრე ჭავჭავაძის, მანანა ორბელიანის, ეკატერინე ჭავჭავაძის, მამია გურიელის და სხვ. ლიტერატურული სალონები, სადაც ისმენდნენ ცნობილ თუ ახალგაზრდა შემოქმედთა შედეგებს, მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილმა ალ.ჭავჭავაძის სალონში წაიკითხა პირველად პოემა „ბედი ქართლისა“. შემდგომში, როგორც ჩანს, უკვე მოდად იქცა ხელნაწერი ალბომების შედგენა. ლიტერატურული სალონების მასპინძლები სტუმრებს სთხოვდნენ ავტოგრაფებისა თუ სხვადასხვა სამახსოვრო ჩანაწერისა და ჩანახატის დატოვებას. დღეისათვის არაერთი ასეთი ალბომია შემონახული, მაგ. 1) **ეკატერინე ჭავჭავაძის XIX საუკუნის სალონური ალბომი**, რომელიც ინახება ზუგდიდის დადიანების სახელმწიფო მუზეუმში. ტყავადაკრულ ტვიფრულ მუყაოსყდიან ალბომში ინახება სხვადასხვა პირთა ჩანაწერები ქართულ, რუსულ, პოლონურ ენებზე; არის ნახატები. მისი ციფრული ვერსია განთავსებულია ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე (ჭავჭავაძე, XIX); 2) **ელისაბედ ირაკლის ასული ორბელიანის** ტყავისყდიან 37 გვერდიან ალბომშიც არის ჩანახატები (იაკობ ნიკოლაძის „სალომეას ცეკვა“, შმელინგის მიერ შესრულებული კარიკატურა), აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, კ. გამსა-

ხურდიას, ი. გრიშაშვილის, ს. აბაშელის ლექსები და სხვა ცნობილ პირთა ჩანაწერები ქართულ, ფრანგულ, რუსულ, ოსმალურ ენებზე. ალბომი დაცულია გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმში (ორბელიანი, XIX).

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ევროპასა და რუსეთში იწყება ავტოგრაფული ხელნაწერი ალბომების შესწავლა – მათი ტიპოლოგიის დადგენა და ფუნქციის საკითხების კვლევა. მე-19 საუკუნის ბოლოდან სამეცნიერო საზოგადოებას ისინი უკვე აინტერესებს, როგორც მწერლობისა და ინდივიდუალური სოციალურ-კულტურული ქცევის შესწავლის წყარო. ალბომის, წერილებისა და ხელმოწერების ყოვლისმომცველი ანალიზი გახდა ერთ-ერთი პერსპექტიული სფერო XVIII-XX საუკუნეების ყოველდღიური ცხოვრების კულტურის შესასწავლად (Михайлова, 2007).

კვლევები მნიშვნელოვნად გაფართოვდა XX-XXI საუკუნეებში. უპირველეს ყოვლისა, მეცნიერთა მიერ აღნუსხულია და კატალოგიზებულია სხვადასხვა მუზეუმსა თუ არქივში, ასევე, პირად კოლექციებში დაცული ავტოგრაფული ხელნაწერი ალბომები. მოხდა მათი დიგიტალიზაცია და ინტერნეტ საიტებზე განთავსება. ინტენსიურად გრძელდება მათი კვლევა და შესწავლა მრავალი მიმართულებით. მეცნიერები გამოყოფენ რამდენიმე ჯგუფს, მათ შორის არის „ალბომი კრებულები“ და „ალბომი-კოლექციები“. განსაზღვრულია ხელნაწერი ალბომების მრავალმხრივი მნიშვნელობა: 1) ალბომი, როგორც ბიოგრაფიების აღდგენის საშუალება, 2) ლიტერატურული და ფოლკლორული ტექსტის წყარო, 3) ხელოვნებათმცოდნეობის ნიმუშების (ნახატები, ნოტები) პირველწყარო, 4) ფაქსიმილეების „საცავი“, 5) ავთენტური ტექსტის დადგენის, ატრიბუციის და ნაწარმოების დათარიღების საშუალება, 6) ალბომი, როგორც ისტორიის წყარო და სხვ. დღეისათვის არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება ხელნაწერი ალბომების ევოლუციის კვლევას, მათი მნიშვნელობის დადგენას (Вацуро, 1979; Леонов, 2009; Петрова, 2020).

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის შესწავლა. მისი ტიპოლოგიის დადგენა და მნიშვნელობის განსაზღვრა. იგი სრულიად გამორჩეულია თავისი ბედიტა და თავგადასავლით (ღამბაშიძე, 2019). განსაკუთრებულია ჩანაწერების შინაარსობრივი მრავალფეროვნებითა და ავტორთა სიმრავლით, როგორც აღვნიშნეთ, მასში 144 ავტოგრაფული ხელნაწერი და სამი ფერწერული ჩანახატია. თავდაპირველად ვახტანგ ღამბაშიძეს აკაკი წერეთ-

ლისთვის უთხოვია ამ პატარა ტყავისყდიან წიგნაკში ჩაეწერა ლექსი და სწორედ 1904 წელს 10 აგვისტოს ლექს „პატარა ცემის“ ხელნაწერით იხსნება ალბომი. შემდეგ კი ავტოგრაფული ჩანაწერები გაუკეთებიათ სანატორიუმის საპატო სტუმრებს: ცნობილ ქართველ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, მეცნიერებს, ექიმებს, მწერლებს: ეკატერინე გაბაშვილს, გრიგოლ რობაქიძეს, ალექსანდრე აბაშელს, ილია ნაკაშიძეს, დუტუ მეგრელს, ექვთიმე თაყაიშვილს, ვიკტორ ნოზაძეს, ალექსანდრე ხახანაშვილს, კიტა აბაშიძეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ნოე ჟორდანიას, მიხაკო წერეთელს, ევგენი გეგეჭკორს, შალვა ამირეჯიბს, სპირიდონ ჭავჭავაძეს, ელიზბარ ვაჩნაძეს, სიმონ წერეთელს, გიორგი გვაზავას, რევაზ გაბაშვილს, გრიგოლ დიასამიძეს, აკაკი ჩხენკელს და მრავალ სხვას.

საგულისხმოა, რომ ეს ხელნაწერებიანი კრებული გამოირჩევა არა მარტო ავტორთა სიმრავლით, არამედ ჩანაწერთა **ჟანრობრივ-თემატური მრავალფეროვნებითაც**. რას არ შეხვდებით აქ: პოეზია, პროზა, ესეისტიკა, მოგონებები, შთაბეჭდილებები, ან მხოლოდ ავტოგრაფები, ცნობილ მხატვართა მიერ სახელდახელოდ შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ჩანახატები. მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა, წიგნი თითქოს ერთ სიუჟეტურ ქარგაზეა გაწყობილი, ერთი მოტივი გასდევს, ეს საქართველო სიყვარული და ნოსტალგიაა. ჩანაწერები შთაბეჭქდავად გადმოსცემენ XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს შავ-თეთრ ისტორიას.

ვახტანგ დამბაშიძე მას „ოქროს წიგნს“ უწოდებდა. ეს ავტოგრაფული ჩანაწერების წიგნი მართლაც რომ, ოქროს ფონდია, ეპოქის მატიაწეა. იგი ქვეყნის თითქმის ნახევასაუკუნოვან ისტორიას ინახავს, რომელიც ორ ნაწილად იყოფა – სამშობლოში (1904-1920) და სამშობლოს გარეთ, ემიგრაციაში (1921-1946).

საგანგებოდ გვინდა ვისაუბროთ ალბომის იმ **უცხოენოვანი ჩანაწერებისა** და ნახატების შესახებ, რომლებიც ეკუთვნის ცნობილ უცხოელ მოღვაწეებსა და მხატვრებს. მათი ნაწილი საქართველოშია შესრულებული, როგორც ჩანს, ზოგი მათგანი პირადად სტუმრობდა სანატორიუმს. მაგალითად, პატარა ცემის ჰავით მოხიბლულ სტუმარს **ოსმალურ ენაზე** ჩაუწერია: „ძალზე კარგი ჰაერია“, ავტორი **ჯავად ბეგ რაფირ ბეგოვია**, რომლის ვინაობის დადგენა ვერ შევძელით (დამბაშიძე 2019, გვ. 56). 1910 წელს სანატორიუმს კვლავ სწვევია აკაკი წერეთელი ცოლ-შვილით და მისი იუმორისტული ჩანაწერის გვერდით არის მისი შვილის, **ალექსი წერეთლის**, ცნობილი ანტრეპრენიორისა

და რამდენიმე რუსული და ფრანგული საოპერო დასის დირექტორის, ჩანაწერი **რუსულ ენაზე**, იქვეა აკაკის მეუღლის, **ნატალია ბაზილევსკაიას**, მადლობის მინაწერიც (დამბაშიძე 2019, გვ. 57).

სანატორიუმს სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანიას** (დამბაშიძე, 2019, გვ. 59) და მისი მეუღლე **ინა ჟორდანიას**, ალბომს მისი **რუსულენოვანი** შთაბეჭდილებაც შემოუნახავს (დამბაშიძე, 2019, გვ. 64); დაცულია რამდენიმე **რუსი** და **აზერბაიჯანელი ექიმის** (დამბაშიძე, 2019, გვ. 62) ჩანაწერები და ხელმოწერები, ყველა მათგანის ამოკითხვა ვერ მოხერხდა, თუმცა კარგად იკითხება ცნობილი ოფთალმოლოგის, პოლიტიკური მოღვაწის **ემილი აბრამოვიჩის** ჩანაწერი (დამბაშიძე, 2019, გვ.65), ისევე, როგორც ცნობილი რუსი ისტორიკოსის, მედიევისტის, პროფესორ **ალექსანდრე სავინისა** და მისი მეუღლის ცნობილი პიანისტის **ეგგენიას სავინას** 1907 წლის 8 აგვისტოს შთაბეჭდილებები (დამბაშიძე, 2019, გვ.43).

დამბაშიძის ალბომის სტუმართა სპონტანური შთაბეჭდილებები-სა და მადლობების მიღმა სწორედ რომ, ეპოქის სუნთქვა ისმის. ამის კარგი ნიმუშია ცნობილი ასირიოლოგის **მიხაკო (მიხეილ) წერეთლის** სამი ჩანაწერი, მათ შორის მესამე – ლურსმული ანბანით. პირველი ლექსი – საქართველოში, მეორე კი უკვე სამშობლოდან შორს, საფრანგეთში ჩაუწერია მეცნიერს:

„ბრძანა ვახტანგმან მკურნალმან და აღჩნდა სანატორია

„პატარა ცემის“ სახელით-თვით სამოთხისა სწორია“.

1909 წლის 18 ივლისი.

„ჩვიდმეტი წელი გავიდა... სადღაა სანატორია?!

დავკარგეთ ჩვენი ქვეყანა თვით სამოთხისა სწორია...

ეს არის წუთისოფელი, ჟამთა უკულმა ტრიალი:

ცემის ნიავის მაგივრად ავტომობილთა ხრიალი.“

1926 წლის 21 ნოემბერი (დამბაშიძე, 2019, გვ. 51).

ცნობილია, რომ ვახტანგ დამბაშიძემ სამედიცინო განათლება მიიღო ჯერ მოსკოვის უნივერსიტეტში, შემდეგ კი პარიზში. მკურნალობის მისი მეთოდები მეცნიერულად დასაბუთებულ კვლევებსა და იმ დროის კურორტოლოგიის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს ეფუძნებოდა. ამიტომაც სთავაზობდნენ მსოფლიო დონის მეცნიერები თანამშრომლობას. იგი ჩართული იყო სორბონის უნივერსი-

ტეტის მეცნიერების – ალფონს ლავერანისა და ალფრედ ბინეს – კვლევებში. ასევე, მასპინძლობდა საქართველოში ჩამოსულ ყველა უცხოელ ექიმს. მან ერთი წელი გაატარა კურორტ ლეისონში შვეიცარიული კურორტების მოდელის შესასწავლად. ამიტომაც გასაკვირი არაა მისი ფართო კავშირები სხვადასხვა პროფესიის უცხოელ მოღვაწეებთან. მედიცინის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი იქნება ვინაობის დადგენა ყველა იმ უცხოელი ექიმისა და მეცნიერისა, რომელთა გვარების ამოკითხვაც ამჯერად ვერ მოხერხდა. ამდენად, მკვლევართა ინტერესი ამ ალბომის მიმართ ერთი-ორად იზრდება.

ვფიქრობთ, მეტად საყურადღებოა ალბომში შემონახული ორი ფაქსიმილე, რომლებიც ეკუთვნის ცნობილი ბანკირის *დანიელ მაინერცჰაგენის შვილებს: ლუის ერნესტ მაინერცჰაგენსა და მერი ამელია მაინერცჰაგენ-ვოლასტონს*, ცნობილი ექიმის, ბოტანიკოსის, მკვლევრისა და მოგზაურის *ალექსანდრე ფრედერიკ რიჩმონდ ვოლასტონის* მეუღლეს. თუ ვივარაუდებთ, რომ ეს და-ძმა სტუმრობდა საქართველოში „პატარა ცემს“, მაშინ აშკარაა, რომ საკმაოდ შორს ყოფილა ამ კურორტის სახელი განთქმული, ხოლო თუ ჩანაწერი ინგლისშია გაკეთებული, რადგან მითითებულია მისამართი: „*ლონდონი, ჩელსი, სვანვოლქი 7*“, მაშინ კიდევ ერთხელ დასტურდება ვ. ლამბაშიძის ფართო კავშირები, რაც ასევე საყურადღებოა და გამოდის, რომ ეს პატარა წიგნაკი საგანგებოდ თან დაჰქონდა პატრონს. ეს ავტოგრაფები 1911 წლის 12 სექტემბრითაა დათარიღებული (ლამბაშიძე, 2019, გვ. 69).

ასეთი კავშირის კიდევ ერთი ნიმუშია *ფრანგი* ექიმის *ლუი დარტიგის* (ლამბაშიძე, 2019, გვ. 75) გულისხმიერი ჩანაწერი, რომელიც ასე თარიღდება: „1918 წლის 3 მაისი, ტიფლისი“. იგი იყო კავკასიაში ფრანგული სანიტარული მისიისა და ფრანგული ქირურგიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი. მას მრავალი ნაშრომი აქვს და მათ შორის საყურადღებოა 1919 წელს გამოცემული წიგნი *„ფრანგული სანიტარული ქირურგიული მისია კავკასიაში (1917-1918 წწ)“*. ამ წიგნის შესავალში იგი დიდ მადლობას უხდის თავის მეგობარ ვახტანგ ლამბაშიძეს და წიგნის 91-ე გვერდზე ბეჭდავს მის ფოტოს წარწერით: „ექიმი ლამბაშიძე, ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში, საფრანგეთის დიდი მეგობარი, რომელმაც სამედიცინო განათლება მიიღო პარიზში“ (დარტიგი, 1919, გვ.91). წიგნის ერთი თავი ეძღვნება ფრანგული სანიტარული მისიის მოღვაწეობას თბილისში.

საკმაოდ ვრცელ ესსეს ფრანგულ ენაზე, რომელიც ასე მთავრდება: „ამ ბედნიერების სახლს მე ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ ძალიან მინდა მისი გაცნობა და ამიტომაც კიდევ დავბრუნდები კავკასიაში მის სანახავად,“ ხელს აწერს **ფრანგული სანიტარული მისიის ატაშე, გაზეთ „Ptit Parisien“-ის კორესპონდენტი პარიზიდან** [...მეველ] (ღამბაშიძე, 2019, გვ. 79). გვარის ზუსტად ამოკითხვა ვერ შევძელით.

რასაკვირველია, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისთანავე ვ. ღამბაშიძეს სანატორიუმი ჩამოართვეს. იგი გულ-მოკლული წერდა მოგონებებში: „დიდი ლახვარი დამეცა გულს, როდესაც ეს დიდი შრომითა და წვალებით აგებული ტაძარი გაველურებულმა და ბოროტი აზროვნების ბრმა მიმდევრებმა ჩვენ მეზობლებსვე გაანადგურებინეს და გაპარტახებულ ქარვასლას დაამსგავსეს... შემდეგ ახალმა ბატონებმა სულ მიითვისეს ტაძარი და სხვა დანიშნულება მისცეს მის გამოყენებას, თუმცა მთელი საქმიანობა, ამ დარგის ხელმძღვანელობა მევე მქონდა ჩაბარებული (იგულისხმება კავკასიის საკურორტო ზონის ხელმძღვანელობა. ჯ. გ.). მეორე ლახვარი იყო ჩემთვის მისი იძულებით ჩამოშორება და საერთოდ მასთან ერთად სამშობლოს დაშორებაც“ (ღამბაშიძე, 2019, გვ. 186). 1921 წლის ნოემბერში მან დატოვა თბილისი, ხოლო 1922 წლის 2 თებერვალს ბათუმიდან გაემგზავრა თურქეთში, სადაც მეუღლესთან ერთად მოღვაწეობდა წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციაში და ეხმარებოდა ქართველ ლტოლვილებს. 1924 წელს კი იგი ოჯახთან ერთად საფრანგეთში წავიდა და სამუდამოდ დამკვიდრდა თავისი ბედისწერის ქალაქში, პარიზში, თეოფილე გოტიეს ქუჩაზე.


ასე გამოეთხოვა იგი თავის სანუკვარ სამშობლოსა და თავის „მეხუთე შვილს“ – „პატარა ცემს“, თუმცა ძვირფას რელიქვიად თან წაუღია ჩანაწერებიანი ალბომი, რომელმაც საფრანგეთში „გააგრძელა სიცოცხლე“. როგორც ჩანს, ვახტანგს ქართული სტუმართმოყვარეობა არც საფრანგეთში მოუშლია და ამაზე მიუთითებს ექიმების ჩანაწერები ალბომში – ერთი **ესპანურ ენაზეა**: „ამ ულამაზესი ფრანგული მიწიდან წასვლის შემდეგ, ჩემი ყველაზე სანუკვარი მოგონებები დაკავშირებული იქნება ამ სასიამოვნო და სტუმართმოყვარე სახლში გატარებულ დროსთან, რომლის უფროსი ჩემი კარგი მეგობარი ამბაშიძეა. დრ. [ი.] გური აგილერა, მარტი 19-1924 (ღამბაშიძე, 2019, გვ. 87), მეორე კი **ოსმალურ ენაზე**: „ჩვენმა პატივცემულმა ექიმმა გურიმ პარიზიდან სამშობლოში – ჰავანაში – გამგზავრების დროს ერთი ღამე გაატარა ჩვენი მეგობრის, ძვირფასი ექიმის – ღამბაშიძის სახლში, რო-

მელიც მდებარეობს პარიზში ბალინის ქუჩაზე. ნიშნად თქვენდამი პატივისცემისა, აღნიშნულს ხელმოწერით ვადასტურებ. [ა. კუჩ. ჰირაჰი] [1924 წლის მარტი 19/20]“ (ლამბაშიძე, 2019, გვ. 87).

შემდეგი ჩანაწერი 1927 წლის 23 აპრილს ინგლისურ ენაზე გაუკეთებია **ჰაროლდ ჯოსელინ ბაქსტონს (1880-1976)** (ლამბაშიძე, 2019, გვ. 94). სასულიერო პირს, იერუსალიმის წმინდა გიორგის ტაძრის კაპელანს, კვიპროსის არქიდიაკონსა და გიბრალტარის ეპისკოპოსს. სწორედ მისი ფინანსური დახმარებით გახსნა ვახტანგ ლამბაშიძემ პარიზში საკუთარი კლინიკა, სადაც უმეტესად უფასოდ მკურნალობდა გაჭირვებულ ქართველ ემიგრანტებს. პარიზის კლინიკიდან თეთრებში შემოსილი ვახტანგის ერთი სურათის გარდა, მისი სამედიცინო ნივთებიც გადარჩენილა. ამ „ოქროს წიგნთან“ ერთად ისინიც ქართული მედიცინის მუზეუმს გადასცა მისმა შვილიშვილმა ნათელა ნიკოლაძემ. მათ შორისაა ის ცნობილი ხურჯინიც, რომლითაც პაციენტებთან უფასო წამალი და დიდი იმედი მიჰქონდა „ქართველ ესკულაპეს“.

ალბომის ჩანაწერებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვახტანგ ლამბაშიძის სიძის (ჟორჟეტას მეორე ქმრის), ბრიტანელი ოფიცრის, *გენერალ-მაიორის, რობერტილ სტიუარტის* ერთი ჩანაწერი **ინგლისურად**: „*ეკიმ ვახტანგს საუკეთესო სურვილებით, დაე გაახსენოს [ამ ლექსმა] თავისი ქვეყანა, რაოდენ შორსაც არ უნდა იყოს მისგან. ნილ. 16/12/46* (ლამბაშიძე, 2019, გვ.111). ჩანაწერს ახლავს ცნობილი შოტლანდიელი პოეტის ჯონ ბუქანის ლექსი, რომელიც წამძღვარებული აქვს მის სათავეგადასავლო ნოველას „Prester John“ („პრესვიტერი იოანა“), რომლის შოტლანდიელ პერსონაჟს ცხოვრება მოუხდა აფრიკაში. სხვათა შორის, ვახტანგ ლამბაშიძე ბოლო წლებში სწორედ ნილ სტიუარტის სასახლეში ცხოვრობდა ქალიშვილთან და სიმესთან და იქ გარდიცვალა, დაკრძალულია სასახლის ეზოში კილხონ-მოიარდში, შოტლანდიაში.

ალბომს ამშვენებს ცნობილი ინგლისელი მოღვაწეების ფაქსიმილეები/ხელმოწერები: დამოუკიდებელ საქართველოში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის, ცნობილი ქართველოლოგის, მთარგმნელის, *ოლივერ უორდროპის*, ხელმოწერა. ასევე, მისი ოჯახის წევრების: მისი მეუღლის *მარჯორი უორდროპის*, შვილების: *ჯეიმს, ენდრიუ და ნინო უორდროპებისა და ფრიდა ჩერქეზი-რუპერტუსის* (ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის მეუღლის) ხელმოწერები (ლამბაშიძე, 2019, გვ. 96). საყურადღებოა, რომ ყველა ეს ხელმოწერა ერთი და იმავე დროით, 1930 წლის 24 აპრილით,



ოლივერ უორდროპის, მისი ოჯახის წევრების და ქართველოლოგ სტივენსონის ფაქსიმილები ვახტანგ ღამბაშიძის ალბომში

Facsimiles of Oliver Wardrop and his family members and Stevenson

ნიმე მხატვრის ნამუშევარიც, ესენია: ცნობილი პოლონელი მხატვრის **ზიგმუნდ (ზიგა) ვალიშევსკის** აკვარელით შესრულებული დღემდე უცნობი ნამუშევრი – **პატარა ცემის პეიზაჟი** (ღამბაშიძე, 2019, გვ. 77), რუსი მხატვრის **ვ. პოიარკოვის** მიერ ფანქრით დახატული **ვახტანგ ღამბაშიძის პორტრეტი** (ღამბაშიძე, 2019, გვ. 41), აქვეა უცნობი მხატვრის აკვარელით შესრულებული პეიზაჟი (სავარაუდოდ, პატარა ცემი, ჯ. გ.) (ღამბაშიძე, 2019, გვ. 17) და დაუდგენელი ქანდაკების ფოტო (ღამბაშიძე, 2019, გვ. 92).

ვახტანგ ღამბაშიძეს განზრახული ჰქონია ამ ავტოგრაფული ჩანაწერების წიგნად გამოცემა. „ეს ერთადერთი რამ არის, რაც დამრჩა ჩემი სანატორიუმიდან – წერდა იგი თავის მოგონებებში – სანატორიუმის დღიურში ბევრმა იქ მყოფმა მოათავსა ლექსები და შენიშვნები, რო-

თარიღდება. სავარაუდოდ, ვახტანგ ღამბაშიძე თავად სტუმრობდა მათ დიდ ოჯახს და იქ ყველას ერთად სთხოვა ამ უნიკალური ფაქსიმილების დატოვება. ჩანს, მას ხშირად თან დაჰქონდა ეს ძვირფასი წიგნაკი. 20 წლის შემდეგ, 1950 წლის 13 აპრილს, იმავე გვერდზე, უორდროპების ხელმოწერების ქვეშ ასევე ცნობილი ქართველოლოგის **რობერტ სტივენსონის** ავტოგრაფსაც შეხვდებით ინგლისურ და ქართულ ენებზე (ღამბაშიძე, 2019, გვ. 96). ცხადია ეს შემთხვევითი არაა, ვახტანგ ღამბაშიძე საგანგებოდ ცდილობდა, შეძლებისდაგვარად, თემატურად დაელაგებინა და ერთად მოექცია ერთგვარი ჩანაწერები.

ალბომს ამშვენებს რამდე-

მელთა გამოქვეყნებას ადვილად მოახერხებდა ადამიანი, რომ ძალიან არ იყოს გაძვირებული ქართული ბეჭდვითი საქმე საფრანგეთში.



პოლონელი მხატვრის, ზიგა ვალიშევსკის,
უცნობი ჩანახატი, პატარა ცემის პეიზაჟი

Ziga Valiŝevski's Unknown Sketch – A landscape of Little Tsemi

ეხლანდელ პირობებში ეს მხოლოდ ოცნებით წარმოსადგენია და მეტი არაფერი“ (ლამბაშიძე, 2019, გვ. 177). იგი, ისევე როგორც ყველა ემიგრანტი, ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე, სამწუხაროდ, ვერც ამ ოცნების ახდენას მოესწრო. რამდენიმე წლის წინ მისმა შვილი-შვილმა რევაზ ნიკოლაძემ საქართველოს ეროვნულ არქივს საჩუქრად გადასცა ვახტანგ ღამბაშიძის ხელნაწერები და ფოტოები, მხოლოდ რამდენიმე სამედიცინო ნივთი და ეს „ოქროს წიგნი“ დაიტოვა ოჯახმა რელიქვიად. თუმცა როგორც ჩანს, მათი ადგილიც სამშობლოში იყო. საბედნიეროდ, მისი შვილიშვილი, ნათელა ნიკოლაძე-ვილეკური დიდი წინაპრის ამ უკანასკნელ სახსოვარსაც შეელია. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ალბომს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ქალბატონი ნათელას თანხმობით კი ღამბაშიძის ავტო-

გრაფულმა ალბომმა, საბოლოოდ, მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმში დაიდო ბინა.

ასე დასრულდა „ოქროს წიგნის“ ოდისეა... ვახტანგ ღამბაშიძის ოცნებაც ახდა. 2019 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩვენ მიერ მომზადდა ვახტანგ ღამბაშიძის წიგნი-ალბომის ფოტოტიპური გამოცემა, რომელსაც თან ერთვის ჩანაწერების ბეჭდური ვარიანტები, მოხსენიებულ პირთა მოკლე ანოტირებული საძიებლები და კომენტარებია. ასევე, სამენოვანი ნარკვევი ვახტანგ ღამბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. წიგნის ელექტრონული ვერსია განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მკითხველისათვის (ღამბაშიძე, 2019).

ამრიგად, ვახტანგ ღამბაშიძის ხელნაწერი ალბომი მეტად მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლია. იქ დაცულია არაერთი **ლიტერატურული ტექსტის პირველწყარო** (აკაკის ლექსის დღემდე უცნობი ავტოგრაფი და ამავე ლექსის უცნობი რუსული თარგმანი (მთარგმნელი ნინა ჩარექოვა). ალ. ხახანაშვილის, ალ. აბაშელის, გრ. რობაქიძის და სხვათა ლექსების უცნობი ავტოგრაფები, **უცნობი ნახატები** (ზიგა ვალიშევსკის, პოიარკოვის); **ცნობილი მოღვაწეების ფაქსიმილები** (უორდროპების, სტივენსონის, უცხოელი და რუსი ექიმების, ქართველი პოლიტიკოსების და ემიგრანტების და სხვ.). დაცულია **მოგონებები** (ექვთიმე თაყაიშვილის, სიმონ ბერეჟიანის, ავთანდილ მერაბიშვილის); შესაძლებელია აქ ჩაწერილი ტექსტების **ატრიბუციის, ავთენტურობის და თარიღის დადგენაც** და ამავდროულად, ეს ალბომი არის **ისტორიის წყაროც – ეპოქის მატთანე**.

ავტოგრაფული ხელნაწერი ალბომი მეტად მნიშვნელოვანია კულტუროლოგიის, ქართული ლიტერატურის, ისტორიის, მედიცინის ისტორიის კვლევისათვის. მისი გაცნობით შეიძლება მოხერხდეს იმ უცხოელი ექიმებისა და მეცნიერების ვინაობის ამოცნობა, რომელთა გვარების ამოკითხვაც ჩვენ ვერ შევძელით.

ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი, სავარაუდოდ, „**ალბომი-კრებულის**“ ტიპს მიეკუთვნება, თუმცა ეს ფორმულირება მაინც სიმბოლურად გვეჩვენება, რადგან ვფიქრობთ, ალბომების ტიპოლოგიის მკაცრი საზღვარი ჯერაც არაა დადგენილი (Петрова, 2020). შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი საფუძვლიან კვლევას მოითხოვს. სამწუხაროდ, საქართველოში არა თუ ამ ტიპის კვლევები არ დაწყებულა, ავტოგრაფული ხელნაწერი ალბომების სისტემური კატალოგიც კი არ არსე-

ბობს. მაშინ, როცა ევროპასა და რუსეთში ხელნაწერი ალბომების ბიბლიოგრაფიებია გამოცემული; მეტიც, ალბომების დიდი ნაწილი ინტერნეტ საიტებზეა განთავსებული (Albums manuscrits autographes).

საქართველოშიც მრავლად იქმნებოდა ამ ტიპის ავტოგრაფული ალბომები, ზოგი მათგანი დაცულია სახელმწიფო მუზეუმებსა და არქივებში, ზოგიც – კერძო კოლექციებში, მაგრამ ჯერაც არ არსებობს მათი ბიბლიოგრაფია, ამიტომ პირველ ყოვლისა, ინტენსიურად უნდა დაიწყოს ამ ტიპის ალბომების მოძიება და მათი კატალოგიზაცია, ასევე, საშურია არქივებში გაბნეული ავტოგრაფული ხელნაწერი ალბომების სისტემატიზაცია, ანოტირებული საძიებლებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენა, შემდეგში კი მათი დიგიტალიზაცია და ელვერსიების განთავსება ინტერნეტში, რათა ხელმისაწვდომი გახდეს ისინი არა მარტო ქართველი, არამედ დაინტერესებული უცხოელი მკვლევრებისათვისაც.

ასევე, მეტად საშური და აუცილებელია საქართველოშიც დაიწყოს ავტოგრაფული ხელნაწერი ალბომების მეცნიერული შესწავლა – მათი ტიპოლოგიისა და ფუნქციის საკითხების კვლევა. რაც ხელს შეუწყობს, პირველ ყოვლისა, ალბომების ჟანრის კვლევას, ასევე, მასში დაცული უნიკალური და, უმეტეს შემთხვევაში, სრულიად უცნობი მასალების გამოვლინებას. ხელნაწერი ალბომები მდიდარი წყაროა ლიტერატორების, ისტორიკოსების, ემიგრანტული მემკვიდრეობისა და კულტურის ისტორიის მკვლევრებისათვის, რადგან ამ ტიპის ალბომები არა მხოლოდ კულტურის ნიმუშებს ინახავენ, არამედ იმავდროულად ეპოქის მატრიანეცაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

დარტიგი ლ. (1919) „ფრანგული სანიტარული ქირურგიული მისია კავკასიაში“ (1917-1918 წწ) ლუის დარტიგის მიერ, პარიზი.

<https://gallica.bnf.fr/ark:/12148/bpt6k5618898p/f93.item.zoom>

ორბელიანი ე. (XIX) ელისაბედ ირაკლის ასული ორბელიანის ალბომი. დაცულია გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმში, 10511.

დამბაშიძე ვ. (2019) ვახტანგ დამბაშიძის ალბომი, თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/394208?mode=full>

დამბაშიძე ვ. (2018). „ჩემი თავგადასავალი“ მოგონებები, დღიურები, ჩანაწერები, საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისი.

[https://archive.gov.ge/ge/sametsniero-publikatsiebi/vakhtang-ghambashidze - chemi-tavgadasavali-](https://archive.gov.ge/ge/sametsniero-publikatsiebi/vakhtang-ghambashidze-chemi-tavgadasavali-)

ჭავჭავაძე ე. (XIX) ეკატერინე ჭავჭავაძის სალონური ალბომი.

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/710>).

Albums manuscrits autographes. <https://gallica.bnf.fr/services/engine/search/sru?operation=searchRetrieve&version=1.2&query=%28gallica%20all%20%22Albums%20manuscrits%20autographes%22%29&lang=en&suggest=0>

WHAT HE MAY SEEM TO THE WORLD: ISAAC NEWTON'S AUTOGRAPH BOOK EPIGRAMS.

<https://royalsocietypublishing.org/doi/pdf/10.1098/rsnr.2020.0006>

doi:10.1098/rsnr.2020.0006 Published online: 27 May, 2020.

Вацуро В. Э. (1979). *Литературные альбомы в собрании Пушкинского Дома (1750-1840-е годы)*. Ежегодник Рукописного отдела Пушкинского Дома на 1977 год. Ленинград: „Наука“, 3-56.

Калашникова М.В. *Современный альбом: типология, поэтика и функции*. дис. ... канд. филол. наук. Тверь, 265 с.

Михайлова, Н. (2007). «Альбом есть памятник души...» Рукописные альбомы в Государственном музее А.С. Пушкина Наше Наследие, 87-88; <http://nasledie-rus.ru/podshivka/8306.php>.

Леонов М.М. (2009). *Альбомные коллекции как исторический источник* (по материалам ГЦТМ им. А.А. Бахрушина). Вестник Самарского государственного университета. 7(73). С. 63-68.

Петрова А.В. (2020). *Изучение рукописных альбомов в отечественной науке (XIX – начало XXI века)*. Библиотекосведение. Т. 69, 3, 271-280. DOI: 10.25281/0869-608X2020-69-3-271-280.

<http://www.pushkinmuseum.ru/?q=collection/kollekciya-rukopisnyh-materialov-gmp>

References:

Bibliothèque nationale de France. (n.d.). *Albums manuscrits autographes*. Retrieved from

<https://gallica.bnf.fr/services/engine/search/sru?operation=searchRetrieve&version=1.2&query=%28gallica%20all%20%22Albums%20manuscrits%20autographes%22%29&lang=en&suggest=0>

Ch'avch'avadze, E. (19th century). *Ek'at'erine Ch'avch'avadzis salonuri albomi* [Salon album of Ekaterine Chavchavadze]. Retrieved from

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/710>

- Dartigu, L. (1919). *La Mission Sanitaire CHirurgicale franese Du Caucas (1-Juilliet 1817-18 Juilliet 1918)*. A. Maluans EtT Fies Editeurs. Retrieved from <https://gallica.bnf.fr/ark:/12148/bpt6k5618898p/f93.item.zoom>
- Ghambashidze, V. (2018). *Chemi tavgadasavali: Mogonebebi, dghiurebi, chanats'e-rebi* [Vakhtang Gambashidze "My Adventure" memories, diaries, notes]. Sakartvelos Erovnuli Arkivi. Retrieved from <https://archive.gov.ge/ge/sametsniero-publikatsiebi/vakhtang-ghambashidze-chemi-tavgadasavali>
- Ghambashidze, V. (2019). *Vakht'ang Ghambashidzis albomi* [Vakhtang Gambashidze's album]. Tbilisi: Bak'ur Sulak'auris Gamomtsemloba. Retrieved from <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/394208?mode=full>
- Kalashnikova, M. V. (2004). *Sovremennyy al'bom: Tipologiya, poetika i funktsii* [Modern album: Typology, poetics, and functions] (Doctoral dissertation). Tver'.
- Leonov, M. M. (2009). Al'bomnyye kollektzii kak istoricheskiy istochnik (po materialam GTSTM im. A. A. Bakhrushina) [Album collections as a historical source (based on materials from the State Central Theater Museum named after A.A. Bakhrushin)]. *Vestnik Samarskogo Gosudarstvennogo Universiteta*, 7(73), 63-68.
- Mikhaylova, N. (2007). «Al'bom yest' pamyatnik dushi...» [“The album is a monument to the soul...”]. *Rukopisnyye al'bomy v Gosudarstvennom muzeye A.S. Pushkina, Nashe Naslediye*, 87-88. Retrieved from <http://nasledie-rus.ru/podshivka/8306.php>
- Orbeliani, E. (19th century). *Elisabed Irak'lis asuli Orbelianis albomi* [Elisabed Irakli's daughter Orbeliani's album]. Datsulia G. Leonidzis Sakh. Kartuli Lit'erat'uris Muzeumshi, 10511.
- Petrova, A. V. (2020). Izucheniye rukopisnykh al'bomov v otechestvennoy nauke (XIX – nachalo XXI veka) [Study of handwritten albums in Russian science (19th – early 21st centuries)]. *Bibliotekovedeniye*, 69(3), 271-280. <https://doi.org/10.25281/0869-608X2020-69-3-271-280>
- Royal Society Publishing. (2020, May 27). *What he may seem to the world: Isaac Newton's autograph book epigrams*. Retrieved from <https://royalsocietypublishing.org/doi/pdf/10.1098/rsnr.2020.0006>
- Vatsuro, V. E. (1979). Literaturnye al'bomy v sobranii Pushkinskogo Doma (1750-1840-e gody) [Literary albums in the collection of the Pushkin House (1750-1840s)]. *Yezhegodnik Rukopisnogo Otdela Pushkinskogo Doma na 1977 God*, 3-56. Leningrad: Nauka.